



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	02/11/2022	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე, ედუარდ ნაჭყებია		
დამრღვევის დასწრება	<input checked="" type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა	სხვა დამსწრეები : კი არა	
დამრღვევის წარმომადგენელი	არა	აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	არა		

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. I ლიგის V ტურის მატჩის, მარნეულის „არმაზი“ - სამცხე ჯავახეთის „ტაო“, ვიდეომასალა.

დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება

სტეფანწმინდის „ყაზბეგი“-ს მოთამაშემ, გიორგი ჯამბურიძემ, რომელიც მატჩის დროს სტადიონზე იმყოფებოდა მაყურებლის სტატუსით, აღიარა დისციპლინარული დარღვევა, გამოთქვა წუხილი მომხდარი ფაქტის შესახებ და განაცხადა, რომ მოედანზე შევიდა წარმოქმნილი კონფლიქტის მონაწილეთა გასაშვებლად.

ფაქტობრივი მოცემულობა

1. 30/10/2022 გაიმართა I ლიგის V ტურის მატჩი მარნეულის „არმაზი“-სა სამცხე ჯავახეთის „ტაო“-ს შორის. თამაშის მე-14 წუთზე წარმოქმნილი ფიზიკური დაპირისპირება მოწინააღმდეგე გუნდების მოთამაშეებს შორის გადაიზარდა გუნდურ ფიზიკურ დაპირისპირებაში რომელშიც ჩაერთვნენ ორივე გუნდის როგორც მინდორზე მყოფი ასევე სათადარიგო მოთამაშეები და სტადიონზე მყოფი გულშემატკივრები. წარმოქმნილი სიტუაციიდან გამომდინარე და თამაშის მონაწილე პირების უსაფრთხოების დაცვის არ არსებობის გამო, მატჩის მსაჯმა, საბა მახარაძემ, კიდის მსაჯებთან ერთად მიიღო თამაშის შეწყვეტის გადაწყვეტილება.
2. სტეფანწმინდის „ყაზბეგი“-ს მოთამაშე, გიორგი ჯამბურიძე, ზემოხსენებული ინციდენტისას შევიდა სათამაშო მოედანზე, თუმცა ფიზიკურ დაპირისპირებაში მონაწილეობა არ მიუღია.



სადისციპლინო კომისიამ ფაქტობრივი მოცემულობებისა და ვიდეომასალის განხილვის შემდეგ, სტეფანწმინდის „ყაზბეგი“-ს მოთამაშის გიორგი ჯამბურძის ქმედება შეაფასა როგორც სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციით განსაზღვრული ქცევის კოდექსის დარღვევა, იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი # 2 და დანართი # 3-თ და მიიღო გადაწყვეტილება :

სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	4(ოთხი) კვირა	წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	04/11/2022	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი	05/12/2022 (სრკ-ს მიმდინარე დიდი 10-ს განრიგით)	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიცირებულ მოთამაშეს ეკრძალება ყოველგვარი აქტივობა სათამაშო არეალში, რაგბის თამაშის დროს ნებისმიერ დონეზე.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	04/11/2022
--------------------------	--	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.